ხელშეკრულება № 41

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 21 ---------- 2015 წ.

სსიპ **„გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი“** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორი **მარიამ დიდებულიძის** სახით და შ.პ.ს. **„მბს“** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“ მისი დირექტორი ანა **ნებულიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევა: კარტრიჯი (HP 920 XL) – 4 ცალი; შესყიდვა თანდართული 2015 წლის 21 აპრილის კომერციული წინადადების (ინვოისი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (CPV კოდი30125100) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 194.00 (ასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს **მიმწოდებლის** ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) მიმწოდებელმა მომსახურება გაუწიოს შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება;

გ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან იმავე დღეს;

დ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან იმავე დღეს;

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. ხარისხი

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მთელი მომსახურების პერიოდში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან იმავე დღეს გამოასწოროს ხარვეზი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც გაწეული მომსახურების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის, სამეურნეო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი – ბაადურ კუპრეიშვილი.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან იმავე დღეს.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2. მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

7.3. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ათონელის ქ.#9

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებას აწარმოებს: შემსყიდველის მხრიდან სსიპ „გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის დირექტორი მარიამ დიდებულიძე, მიმწოდებლის მხრიდან შპს „მბს"-ს დირექტორი ანა ნებულიშვილის.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არგაწეული მომსახურების ღირებულების **0.1%-**ის ოდენობით. მომსახურება, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის **0,1%-**ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

14.2 შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ივლისამდე

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი– შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი"	შპს „მბს",
მისამართი:ქ. თბილისი, ათონელის №9	მისამართი: ქ. თბილისი ვირსალაძის №5
ს/კ203860447	ს/კ-203838277
მიმღების დასახელება–ხაზინის ერთიანი ანგარიში	საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სიბანკი"
ბანკის კოდი – TRESGE22.	ბანკის კოდი: 220101836.
მიმღების ანგარიში 200122900	აგარიშის ნომ.: GE55 TB18 88936020100005
ტელ: (+995 32) 99 05 88.	ტელ: 99 77 12; ფაქსი: 99 89 96.
დირექტორი	დირექტორი
მარიამ დიდებულიძე	ანა ნებულიშვილი